№ 226 5 ნოემბერი, კვირა 1866—1878 5 ნოემბერი, კვირა № 226

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а“.

**გაზეთის ფასი:** თ[illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეცხლით—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## „დროება“

ღირს ს ა მ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ო რ მანეთად.

**ხელის-მოწერა** შეიძლება თ ფ ი ლ ი ს შ ი: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქ ა ლ ა ქ ს გ ა რ ე შ ე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты* „*Д р о э б а*“.

# საქართველო

### დღიური

*** ჩვენ გვითხრეს, რომ უწმინდესის სინოდისაგან გამოგზავნილი რევიზორმა, რომელიც ამჟამად ქუთაისის გუბერნიის სასულიერო სასწავლებლებს ათვალიერებს, წინადადება მისცა ამ სასწავლებელთა ზედამხედველებსაო, რომ ქართული ენის გაკვეთილები შეამცირონ ყველა კლასებში და მის მაგივრად რუსული ენის გაკვეთილები მოუმატონ. ამბობენ, რომ გარდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, ყველა სხვა სასწავლებელში უკვე ძალა-უნებურად აუსრულებიათ ეს უფ. რევიზორს წინადადება-ბრძანება. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს კი ის ჰაზრი შეუტანია, რომ ქართული ენის გაკვეთილების მოკლებას ის ემჯობინებაო, რომ ლათინურსა და ბერძნულს მოაკლონო და რუსულს მოუმატონო რადგან ეს ენები ჩვენებური სასულიერო წოდების პირებისათვის, რომელნიც ამ სასწავლებლებიდამ გამოდიან, თითქმის სრულიად გამოუდეგარი არის ცხოვრებაშიო და უ-ქართულოთ კი საქართველოს ხალხის მოძღვრებს თავიანთი სამღვთო მოვალეობის ასრულება არ შეუძლიანთო და სხვ.

სარწმუნო წყაროდამ რომ არ შეგვეტყო ეს ამბავი, უნდა გავტყდეთ, ვერ დავიჯერებდით:

სწორეთ უბედურია ჩვენი ქვეყანა ამ რევიზორების მხრით: ჯერ იყო და უფ. ქერსკი, რომელმანც ამდენი საძაგლობა და ვაი-ვაგლახი მიაყენა ჩვენს სასულიერო სასწავლებლებს და იმათში მოსამსახურე ქართველებს; ახლა არის და ეს უფ. გრიგოროვიჩი, რომელიც უიმისოთაც შემცირებულ ქართული ენის სწავლას თითქო სულ ამოფხვრას ემუქრება! და ესეც მაშინ, როდესაც ჩვენი მხრის ყველა საერო მასწავლებელში კანონად და წესად დაიდვა და მთავრობისაგან დამტკიცდა, რომ სწავლა ქართულს, სამშობლო ენაზედ უნდა იყოსო! გასაკვირველია ღმერთმანი, რით ვერ გაიგეს, რომ, თუ სხვა სასწავლებლებში კი აუცილებელ საჭიროებათა სცნეს არა თუ სამშობლო ენის სწავლა, არამედ ამ ენაზე ყველა საგნების შესწავლა, ეს უფრო საჭირო არ არის სასულიერო სასწავლებლებში, საიდამაც ქართველი ხალხის მოძღვარნი და მქადაგებელნი გამოდიან!..

*** გაზეთს „Iვერია“-ში“ ვკითხულობთ: „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას, შეუძლებელ-მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ნება-რთვა მისვლია შკოლის გახსნის თაობაზედ. როგორც „Iვერიის“ წარსულ ნომერში იყო ნათქვამი, გამგებელი კომიტეტი იანვრის დასაწყისშივე აპირებს შკოლის დაარსებას. ამ დღეებში იქნება თურმე დაბეჭდილი განცხადება შესახებ არზის შეტანისა და ყმაწვილების მიღებისა. როგორც შევიტყევთ, ბევრს ამ „საზოგადოების“ წევრთაგანს თვისი ხვედრი ფული არ შეუტანია; ეხლა, როდესაც „საზოგადოება“ იწყებს თვით საქმით მოქმედობას, იმედია, რომ დააჩქარებენ საწევრო ფულის შეტანას. მეტი არ იქნება, ერთხელ კიდევ მოვიხსენიოთ, რომ მსურველთ შეუძლიანთ საწევრო ფულის შეტანისათვის მიმართონ ამ „საზოგადოების“ სეკრეტარს ნ. დ. ჟანანოვს („Iვერიის“ რედაქციაში).

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმ ცხრა ავაზაკის საქმე, რომელნიც ამ სამი თვის წინათ დაიჭირეს ერთად ქალაქში და რომელთაც ბრალდებათ უ. ქასუმოვის

# ფელტონი

### რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან

(გაგრძელება *)

კვირა დილაა. მოჰქრის ცივი ნიავი. ცა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლებით არის მოცული; ხეებზე შრიალებენ ფერნამკრთალი ფოთლები და უხვათ შორდებიან თავიანთ მზრდელ ტოტებს...

სოფლის ერთ განაპირა სახლის ბანზე შეყრილია ხალხი, ძირს დგანან დედაკაცები; იქვე დგანან ახალგაზდა ბიჭები, იმათ უჭირავთ ხელში ცხენები, რომლებსაც მარტო თაქალთო აფენიათ და მუცელზე წითელი სარტყლები უჭერიათ. მე ვდგევარ ბანზე ხალხში.

*) „დროება“, №№ 220, 221 და 224.

— დოლვი თქვენში არ იციან განა? მკითხა ერთმა ხევსურმა.

— არა, მკვდრისთვის არ იციან დოლის გამართვა; ქალაქში-კი მინახავს დოლი, ადრე იცოდნენ ხოლმე, უპასუხე მე.

— Iაე უბრალოდ ცხენთ ჭენება რა დოლვი ას! დოლვ კვდრისად იციან ჩვენში... ა ბეჩავ, ბეწიკურო! შა ჭენობა არ იცოდი ცხენისა... აი წითელ ცხენ რომ დგას, განა ის იმ კაცისაი ას, ეხლა რომ დოლვს უშვრებიან. შა ვოჟკაც იყვ და კარგადაც მოკვდ...

— როგორ თუ კარგა მოკვდა? ვკითხე მე.

— როგორად ისე, რომ ერთა ქვემოკლ, მერმ დეეჭრათ თავში ტყვიით, აისეთა ვიპოვეთ ქალაქის გზაზე. Iს ბეწიკა იყო, თუ ბევრნ არ დახვედროდეს!. თქვა და გაიქნია თავი ხევსურმა.

ცხენებს დაუყარეს წითელ შილაზე ქერი და ცოცოტა მოაჭამეს, მერმე აილეს მხედრებმა რამდენიმე კუბატი *) (პატარა ქადები), მოასხდნენ ცხენებს და გასწიეს...

ყველანი ბანზე შევდექით საყურებლათ. მანძილი დიდი ჰქონდათ დანიშნული და მის გამო ცხენები ნელა ოთხათ მიჰყავნდათ..

აგერ ყველანი შეეფარნენ პატარა ჭალას; კიდევ გამოჩნდნენ, კიდევ შეეფარნენ... რამდენიმე კაცი ძირს ჩავედით. ერთი საათი არ იქნებოდა იმათი წასვლის შემდეგ, როცა ბანიდამ მოისმა ხმა:

„—Iჰი გამოვიდეს; იჰი ნიშანთანაც მოატანეს!..“

ყველანი ბანზე ავცვივდით. ეს ალაგი, საიდამაც მხედრებს უკანასკნელათ

*) ა კუბატებს გადუყრიაიმათ, ვინცმნ გზაზე შეხვდებათ.

და ახვერდოვის დაჭრა და გაცარცვა, ერთი კაცის მოკვლა და სხვა ბევრი ავაზაკობა, ამ ავაზაკების საქმე ხვალ, 6 ნოემბერს არის სამხედრო ოლქის სასამართლოში დანიშნულიო. ამბობენ, რომ ამ საქმის თაობაზე 20 კაცზე მეტი არის მოწმად დაბარებულიო.

*** უკანასკნელი ქართული წარმოდგენიდამ, რომლის შემოსავალი, როგორც მოგეხსენებათ, ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ იყო დანიშნული, სულ 400 მანეთზე ცოტა მეტი შემოსულა და აქედამ ხარჯს გარდა ზემოხსენებული მიზნისათვის 200 მანეთი დარჩენილა.

ჩვენ გვითხრეს, რომ ამ თვის 15-ს ქართული სცენის მოყვარენი კიდევ აპირებენ წარმოდგენის გამართვას; თამაშობენ „მე მინდა კნეინა გავხდეს“, „მიროვოი პოსრედნიკის სცენებს“ და „აყალ-მაყალს ცოლ-ქმარს შუა“. ამ თვის დამლევისთვის, როგორც ისმის, ესვე ქართული სცენის მოყვარენი ამზადებენ ოსტროვსკის კომედიას „შემოსავლიან ადგილს“ ჟ. ა. ჭიჭინაძისაგან ნათარგმნს.

*** „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს. რომ გასული ღვინობისთვის 31-ს შავს ზღვაზე, ფოთის მახლობლად, ღელვისაგან დაღუპულა როსტოვიდამ მოსული სავაჭრო გემი, რომელშიაც ყოფილა 35,000 ფუთი პურის ფქვილი თფილისელი მეიჯარადრის ფითოევისა.

რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამავე დღეებში სევასტოპოლის მახლობლად დაღუპულა რუსის საუკეთესო გემი—„ლივადია“, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორი მოგზაურობდა ხოლმე მუდამ. პასსაჟირები კი გამოუყვანიათ ნაპირზე. ეს გემი, როგორც ამბობენ, ორ მილიონად ღირდაო.

---

### „დროების“ კორრესპონდენცია

---

მეჯრუსხევი, 24 ოქტომბერს. ზათავდა თითქმის რთველი. დიდი ძალი ღვინო მოგვივიდა. ასე გაშინჯეთ, ქურქელს ველარა შოულობენ ტკბილის შესანახათ.

ზაიმართა ეხლავე ვაკხანალიები. ვაი ღვინის ბრალი და ვაი იმისი, ვინც შეესწრობა დუქანში, როცა ზოგიერთა აზნაურ-ვაჟბატონები სვამენ. იმ დღეს ი. ზ. კინალამ ხანჯლით ეეკუწნათ მათ კეთილშობილებათ: ჩ. და მ. წვრილმან ჩხუბებს ხომ ვერავინ დასთვლის.

ჩვენი სოფელი ვაჭრული მიმართულებისაა. დედა-კაცებიც კი ვაჭრობენ; ასე გაშინჯეთ სასულიერო წოდების თანამდებობის ხალხიც კი ვაჭრობს. ერთი დიაკვანია აქა, რომელსაც დუქანი აქვს გამართული; ეს სამ ადგილას ვაჭრობს. ისეთი ახალუხი აცვია, როგორც ყასაბსა...

მოვიდა დრო ქორიკანობისა და კამპანიებისა; ლამის ზოგიერთა აქაური კაცი დედა-კაცათ გახდეს. ერთი ვილაც ჩ—ვა ისე ჰორიკანაობს, როგორც ზნეობით დაცემული, გარყვნილი დედა-კაცი. ეს კიდევ ცოტაა. სოფელში დაიწყო პროპაგანდა: სასოფლო შკოლის წინააღმდეგ აზრებს ატარებს ხალხში. არ ვიცი მხოლოდ რა ჰსურს ამ ვაჟბატონს: შკოლა უნდა დაკეტოს, თუ მასწავლებელი დაითხოვოს და სხვა დააყენოს. ეს კაცი მაკვირვებს მე; შინ გაზდილი აზნაურშვილი და ესე ჭკვიანი რო არ შეიძლება! აქამდის კერძო ცხოვრებაში რუსოსა ბაძავდა, ის იყო ამისი იდეალი, ეხლა ვეგეტარიანისტობს, ხორცს როდი სჭამს!

იმას მოგახსენებდით: ეს პირი ჩვენს შკოლაზედ ცუდ რამეებს ავრცელებს ხალხში. მაგრამ ვინ რას გაუგონებს? მართალია, ხალხი ყურს არ ათხოვებს მას, მაგრამ შესაძლებელია, რომ მან შკოლას სხვა რითიმე მავლენლობა მიანიჭოს. ტყუილათ კი არ არის ნათქვამი: „ცოდიანს თავისი ცოდოები სხვაში ებლანდებოდაო!“

სხვაფრივ ჩვენსკენ მშვიდობიანობა სუფევს ჯერ-ჯერობით. როგორც იქნება გავატარებთ ამ ცივ, მომავალ ზამთარს ცოტა პურზე და ბევრს ღვინოზედ.

იოსებ დამკვირებაძე.

---

# უცხო ქვეყნები

---

## ოსმალეთი

მოგვყავს რამდენიმე ალაგი იმ კერძო წიგნიდამ, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ადრიანოპოლიდამ ერთის ქართველისაგან, რომელიც იქაურს რუსის ჯარში მსახურებს:

„...აქ ახალი ამბავი ჯერ-ხანად ეს არის, რომ ჩვენმა ჯარმა დაიხია უკან და რაკი ჩვენს ნადგომს ალაგებში ოსმალებმა დაუწყეს ხალხს ხოცვა-ჟლეტა კვალად ქრისტიანებსა, ამისათვის ისევ წინ წავიწიეთ და ოსმალოს ჯარისაგან დაკავებული ქ. ჩურლუ ისევ ჩვენმა ჯარმა დაიჭირა და ოსმალები უკან დაბრუნდნენ უწინააღმდეგოთ, თუმცა კი გულ-სევდით სავსენი.

„ამასთანავე როდოპის მთაში ოცი ათასი ოსმალოს ყარტალ-ყურტალი ჯარია შეკრებილი რამოდენიმე ზარბაზნით და ხშირად გაითარეშებენ ხოლმე მახლობელ ქრისტიანის სოფლებზედ და მუსრს ავლებენ; აგრეთვე დონის ყაზახებიც დაირეკეს. ამისთვის ჩვენი ერთი დივიზიონი ვლადიკავკაზის პოლკისა ზარბაზნებით და ქვევით ჯარით მიდიან საომრად ამ მშვიდობიანობის დროს.

„სადაც ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ჯარი დაიჭერს მიჯნას ამ ზამთარსაც იქ გააყოლებს და იქნება ისეც მოხდეს, როგორც ჯერ-ხანად შინაგანი ალიაქოთი გვაჩვენებს, რომ ზამთარმა ხელ-ახლად ომი მოგვიტანოს“...

— სალონიკის ღუბერნატორს გაუგზავნია სტამბოლში დეპეშა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ სერესის მახლობლად აჯანყებულ ბოლგარიელებსა და ოსმალოს ჯარს შუა ფიცხული შე-

---

უნდა დაეკრათ ცხენებისთვის, ოთხ ვერსზე იქნებოდა ჩვენგან. რამდენიმე ბიჭი კიდევ შეჯდა ცხენებზე და მარდათ გაექანნენ იმათკენ.

ესენი მგებრები იყვნენ. ცხენები გამოსცდნენ ნიშანს; გაშმაგებული მხედრები ხელ-მარჯვეთ სცემდნენ უიმისოთაც გაცოფებულ ცხენებს.. აი ჯგუფიდან რამდენიმე ცხენი უფრო გამოირჩა და წინ წამოვიდა, ისინი თანდათან უფრო სტოვებენ თავიანთ ამხანაგებს... ერთი ამ წინა ცხენებთაგანი უცებ დაეცა, მხედარი მარდათ გადმოხტა ცხენიდგან; ცხენი წამოხტა, ისევ დაეცა....

— აოი! ცხენ ქვე გაუსქდების, გაისმა ხალხში ხმა.

ერთმა ლურჯმა ცხენმა მოისხლიტა ყველა ცხენები უკან.

— ბეჩავ, ჩემო ლურჯა! დაიძახა ერმთა ხევსურმა ცხენებიმ ოახლოვდნენ; გაგიჟებული ლურჯა აღარ ემორჩილება თავის დაქანცულ პატარა მხედარს და უქცევს სწორე გზიდამ. ცხენი გამოსცდა მიჯნას; აგერ გადმოხტა ერთ თხოილზე და ძირს ბურთივით დასცა თავის მხედარი.

— აოი! ზაისმა მთელ ხალხში, ბიჩინაგა ქვე გადმოაგდ ცხენმ.

ხალხში შესდგება დიდი ჩოჩქოლი. დედაკაცები წივილ-კივილით გარბიან გადმოვარდნილ მხედრისაკენ....

---

მზე თითქმის გადიხარა, როდესაც შეგვიწვიეს სადილათ. დარბაზივით ნაგებ სახლში ერთ მხარეზე ჩამოვმწკრივდით კაცები, მეორე მხარეზე გამწკრივდნენ ქალები. აგერ მოგვართვეს ტაბლაც და სადილობა დავიწყეთ. ქალებს გულის მორთულობაზე ლურჯი შილა ჰქონდათ აფარებული (ეს მგლოვიარობის ნიშანია).

სუფრის მოლოს იჯდა ის ჩვენი საქონელში ნანახი ქალი ნათელა; მისი სიმშვენიერე ეხლა უფრო ძრიელ მიტაცებდა. შევნიშნე, რომ ის რაღაც ძალიან მალ-მალ იხედებოდა ვაჟების სუფრის ერთ კუთხისაკენ. წარბის ტყე მალმალ ირხეოდა და მის კამკამი თვალებიდამ ჰკრთებოდა რაღაცა ღელვა. დავაცქერდი იმ მხარეს, საითაც ნათელა იყურებოდა. იქ იჯდა ერთი ახალგაზდა ბიჭი სუფთა ტანისამოსით მოსილი. ახლად ამოსული ულვაშები და ხუჭუჭი წვერი უმშვენებდა იმას შეხედულობას. მოკლე ჩოხის გულის პირი და ვიწრო შარვლის ტოტები მთლათ სკლატებით ჰქონდა მორთული; წელზედ ერტყა ღილებით მოჭედილი ქამარი და გრძელი ხანჯალი. მარჯვენა ცერზე გაეკეთებინა ჩხუბში სახმარი ბეჭდები. მისი შეხედულობა, მოძრაობა, ლაპარაკი ცხადად

ტაკება მომხდარა 12 ღვინობისთვეს და ჩვენი ჯარები დაამარცხესო. სერესსა და კიუსტენდილს შუა დიდ-ძალი ჯარი არის მოგროვილი აჯანყებულებისაო.

— გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ სტამბოლის თოფის-წამლისა და იარაღის საკეთებელ ქარხნებში მუდამ დღე და ღამე გაუწყვეტელი მუშაობა არისო; ამ გვარივე გაცხარებული მუშაობა არის აგრეთვე სტამბოლის არე-მარე ციხეებზედ და სიმაგრეებზედაო.

### ინგლისი

ლონდონის გაზეთი „სტანდარი“ ამბობს, ჩვენ შევიტყვეთო, რომ რუსეთი მალე წინადადებას მისცემს ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებსა, რომ ხელმეორედ შეიკრიბოს კონგრესსი და აღმოსავლეთის საქმეებზედ მოილაპარაკონ.

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ვენა**, 2 ნოემბერს. ღენერალ სკობელევმა აცნობა ლულუ-ბურგასის იქით მყოფ ოსმალოს ჯარებისა და ციხეების უფროსებს, რომ ღენ. ტოტლებენისაგან მოუვიდა იმას ბრძანება სოდლერისაკენ გასწიოს წინ იმან (სკობელევმა) თავის ჯარები.

**პარიჟი**, 3 ნოემბერს. რუსის ელჩი ორლოვი ვისბადენში წავიდა გუშინ.

**სტამბოლი**, 2 ნოემბერს. ფილიპოპოლის კამისიამ მიიღო თითქმის შეუცვლელად პროექტი აღმოსავლეთ რუმელიის (სამხრეთ ბოლგარიის) გამგეობისა, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ შეადგინა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 4 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან.—კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 96—76 |
| მეორესი — — — — | 95—75 |
| მესამესი — — — — | 95—50 |
| მეოთხესი — — — — | 95—50 |
| აღმოსავლეთის — — | 91—50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 9—35 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „—„ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან.—კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 235—50 |
| მეორე სესხის — — — | 228—75 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—$^{19}/_{32}$ | პენსი |
| ამსტერდამი— — | 119—50 | ცენტი |
| ბერლინი— — — | 201—50 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 240—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | 2—50 — | |

---

## განცხადებანი

### თფილისის საადგილ-მამულო

## ბანკისაგან

გამგეობა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისა უმაღლესად დამტკიცებულის წესდების მე-§ 16 საფუძვლის ძალით, აცხადებს, რომ ამა 1878 წლის 9 ქრისტეშობისთვის, შუადღიდგან, ქალაქს თფილისში ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე ნ. ყორღანოვის სახლში № 3, იქნება **საზოგადო გასყიდვა** (ხელ-მეორედ გასყიდვა არ იქნება) იმ ქვემო მოყვანილ პირთ **უძრავ მამულებისა**, რომელთაც არ შემოიტანეს დროზედ ბანკიდამ აღებულის სესხის დანიშნული გადასახადი ფული, როგორც ამ ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მოითხოვენ:

**საგინოვისა**, თ. მიხეილ პაატას ძის, სახნავი მიწა და ტყე სულ 2074 დესიატინა და 420 ოთხ-კუთხი საჟენი. თელავის უეზდის სოფ. ახალდაბაში, ზემო-ხოდაშენში და ახმაანში.

სრული ვალი აქვს ამ მამულს—13,865 მან. და 90 კაპ.; გადაუხდელი სარგებელი და თავნისა—591 მან. 8 კაპ. სულ 14 456 მან. და 98 კაპ.

**ჩოლაყაშვილისა**, თ. ილია ზაალის ძის, სახნავი, სათიბი, საბალახე და ტყე სულ—3042 დესიატინა. სიღნაღის უეზდის სოფ. ჭიაურში.

სრული ვალი—39,616 მან. 88 კაპ.

**ყორღანაანთ**, ვასილის, ზაქარიასი და მიხეილის ნიკოლოზის ძეთა, ნატალია ნიკოლოზის ასულისა და დარია ივანეს ასულისა, სახნავი, სათიბი, საბალახე და ტყე, სულ 584 დესიატინა და 880 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის უეზდის ჭილიზის აგარაში.

სრული ვალი—3,961 მან. 69 კაპ. გადაუხდელი 538 მან. 60 კაპ. სულ 4,500 მან. 29 კაპ.

**ერისთავების**, თ. რაფიელისა და იოსების დავითის ძეთა, სახნავი, სათიბი და ტყე, სულ—900 დესიატინა, თიანეთის უეზდის სოფ. ბოჭორმაში.

სრული ვალი—5,356 მან. 33 კაპ. გადაუხდელი 268 მან. 4 კაპ., სულ 5,624 მან. და 37 კაპ

**შალიკოვებისა**, თ. კონსტანტინე როსტომის ძისა, თ.თ. ნიკოლოზ, გიორგის და მიხეილის დიმიტრის ძეთა, მართა დიმიტრის ასულისა და სალომე პანტელეიმონის ასულისა,—სახნავი, სათიბი, საბალახე მიწები, ტყე, ბაღი და ვენახი, სულ 1,446 დესიატინა 2294 ოთხ-კუთხი საჟენი, გორის უეზდის სოფ. სკრაში.

ვალი 32,733 მან. 18 კაპ. გადაუხდელი აქვს კიდევ—1,371 მან. 49 კაპ., სრული ვალი—34,104 მან. 67 კაპ.

**ორბელიანისა**, თ. ვახტანგ ვახტანგის ძისა—სახნავი, სათიბი, საბალახე მიწები და ტყე, სულ 1,977 დესიატინა და 1,280 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის უეზდის სოფლებში ძველ-დუმანისს, ჩანჩხურაში, ციხის-საყდარში, საფარლოში და ქართევანის-სოფელში.

ვალი—13.886 მან. 80 კაპ., გადასა-

---

ამტკიცებდნენ მისსაც სულის კვეთებას. უჩუმრათ გადიხედავდა ხოლმე აღგზნებული თვალებით ქალისკენ.

— აკერ ის ბიჭი, მე რომ გითხარით მაშინ! ხედავ, ნათელა და ის როგორ უცქერიან ერთმანეთს? წამოიჩურჩულა გაბრიელმა, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა.

ამ დროს მოგვაწოდეს ორი ყანწი არაყი.

— შესვით, კესანე, შესვით! გვითხრა ხევსურმა.

ჩვენ დავლიეთ. ამ სუფრიდამ ისე აიშალა ხალხი, რომ სრულებით არ უთქვამთ სიმღერა (თუმც ეს წლის წირვა იყო კვდრისთვის გამართული).

მხოლოთ მალ-მალ ატყდებოდა ხოლმე აყალ-მაყალი, რომელიც სხვების თანაშემწეობით ისევ მალე იშლებოდა.

—

აქედამ წაგვიყვანა ერთმა ხევსურმა თავის სახლში რამდენიმე კაცი და მღვდელიც.

შეიქნა აქაც სმა და სიმღერა.

—რას ღლავღლუებთ, ვაჟო? მოიტანეთა ფანდური, არ ქქონა? დაიძახა ერთმა ხევსურმა.

ამ დროს გადმოაწოდეს ბეროს ჩონგურის მაგვარი, მაგრამ უფრო სქელი და უშნოთ ნათალი საკრავი. სიმები ზედ შეჟანგებოდნენ. ბერომ შემოიდო ფეხი-ფეხზედ და დაუწყო ფანდურს ჩხაკი-ჩხუკი, ზედაც დამღეროდა:

„არიქა, ბაჩაყაურო, დათვია შემოგხვდებისა.
„იციან გუდამაყრელთა შორის მოქნევა ხმლისაო;
ხევჩი ჩადება, ჩახრჩობა წუნკალა ხევსურისაო;
„შეინახიდი ლამაზად ნახეთქი თავრივლისაო. . . .“

— იჰი რახლად დაგვცინის ელოზიან გუდამაყრელი! დაიძახა ერთმა.

ბერომ დაუკრა რაღაც ლეკურის მაგვარი. ჩამოდგა ერთი ქურქით და გრძელ ბეწვიანი ტყავის ქუდით მოსილი ხევსური და დაიწყო ხტუნვა-თამაშობა; ხან ერთ ფეხ აიღებდა მაღლა და ათამაშებდა, ხან მეორეს...

— ბერო! ბალღობისასა წაწალ არ გყონდა? რახლად უმღერდი იმას? დაიძახა ერთმა.

ბერომ გადისვა ხელი თავის გრძელ ულვაშებზე, ახედ-დახედა თავის ფანდურს და დაიწყო:

„წაწალოე, წაწალოე!
„ჩაგითოვლა საკალოე
„რად არ ჩვენკენ ჩამოიელი
„შე ლეკისაგან ბამწვაროე? . . .

ვ. გ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ხადი—591 მან. 8 კაპ., სრული ვალი 14,477 მან. და 88 კაპ.

**ორბელიანის**, თ. ვახტანგ ვახტანგის ძისა, სახნავი, საბალახე, სათიბი მიწები და ტყე, სულ 1,434 დესიატ., 1,120 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის უეზდის სოფლებში—მუსიკალაში და შინდლარში.

ვალი—10,942 მან. 47 კაპ., გადასახადი კიდევ—467 მან. 8 კაპ., სულ 11,416 მან. 34 კაპ.

**ამილახვრისა**, თ. ამირინდო ამირინდოს ძის, სახნავი და საბალახე მიწები, სულ—145 დესიატინი 1,756 ოთხ-კუთხი საჟენი, გორის უეზდის სოფ. ნაწრეტს.

ვალი—2,984 მან. 31 კაპ., გადასახადი—139 მან. 21 კაპ., სულ 3,123 მან. 52 კაპ.

**ანდრონიკაშვილისა**, თ. ზაქარია იესეს ძის, სახნავი, საბალახე და სათიბი მიწები და ჩიქვნარი, სულ 4,765 დესიატინა, ტფილისის უეზდის სოფელ ლომბალოსთან.

ვალი—59,686 მან. 23 კაპ., გადასახადი—3,049 მანეთი., სრული ვალი 62, 735 მან. და 38 კაპ.

**სულთანოვის**, ხეჩატურ როსტომის ძისა, ერთ-ეტაჟიანი ქვით-კირის სახლი, მიწით 38 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 ოთხ-კუთხი არშინი, ქ. ტფილისში, მე-II განყოფილების მე-13 უჩასტკაში, ჰავლაბარში.

ვალი 377 მან. 4 კაპ., სულ 412 მან. და 18 კაპ.

**ტერ-მიკირტიჩიანცისა**, ქრისტეფორე ნიკიტის ძისა, სამ ეტაჟიანი ქვით-კირის სახლი თავის ყველაფრით და მიწით 634½ საჟ., ქ. ტფილისში, მე-II განყოფილებას მე-12 უჩასტკაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ჩუღურეთში.

ვალი აქვს—77,287 მან. 59 კაპ., გადასახადი—4,347 მან. 5 კაპ., სულ—81,634 მან. და 64 კაპ.

**სულხანოვისა**, მარიამ ივანეს ასული, ა) ერთ-ეტაჟ. ქვითკ. დუქანი, ბ) ორი სამ-ეტაჟ. ქვითკ. დუქანი, ორი ორ-ეტაჟ. ქვითკ. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი თავის მიწით 276 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 არშინი. ქ. ტფილისში: ა) I განყოფ. მე-7 უჩასტკაში, ბ) მე-II განყოფ. მე-14 უჩასტკაში ჩუღურეთში.

ვალი—17,126 მან. 77 კაპ., გადასახადი—874 მან., 60 კაპ., სულ 18,001 მან. 37 კაპ.

**თეთრაძის**, ბლაზა ზურაბის ძის, ა) სამ-ეტაჟიანი. ქვითკირის. სახლი სამ ეტაჟიანის ქვითკირის ფლიგელით და სარდაფით, ბ) ორ-ეტაჟ. კითკ. სახლი სამზარეულოთი, მიწით 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში— 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე.

ვალი—6,337 მან. 19 კაპ, გადასახადი—385 მან. 91 კაპ., სულ—6,723 მ.

**პავლიევის**, იაკობ სვიმონის, ძის ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, და სხვა შენობებით, მიწით—72 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში მე-5 უჩასტკაში, ნემცების ქუჩაზე.

ვალი—5,761 მან. 6 კაპ., გადასახადი—367 მან. 10 კაპ., სულ 6,128 მან. 19 კაპ.

**ამატუნისა**, კნეინა ანნა ნაზარის ასულისა, ა) ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ერთ-ეტაჟიანი ფლიგელით და სარდაფით და ბ) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილით 178 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ტფილისში I განყოფ. მე-4 უჩასტკაში, ბოლოამენოვის ქუჩაზე.

ვალი—52,748 მან. 19 კაპ., გადასახადი—2,591 მან. 80 კაპ., სულ 55,339 მან 99 კაპ.

**ამირაღოვისა**, ისაკ მოსეს ძის, ერთ-ეტაჟიანი ქვითქკირის სახლი სარდაფით და ყველა კუთვნილებით და ადგილით—490 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. გორში.

ვალი—781 მან. 45 კაპ., გადასახადი—65 მან. 98 კაპ.სულ—847 მან. 43 კ.

**მეხტიევის**, სადიყ-ასკარ-ოღლის, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღით და ადგილით—547 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ტფილსში I განყ. მე 9 უჩასტკაში, ბოტანიკურ ბაღთან.

ვალი—1,200 მან., გადასახადი 66 მ. 88 კაპ, სულ—1,266 მან. 88 კაპ.

**ვაჩნაძის**, თ. ივანე ბაადურის ძის, ორი ზვართან ცარიელი მიწით; ერთი ზვრის სივრცეა—1,789 ოთხ-კუთხი საჟენი, მეორესი—სიგრძე 124 საჟენი, სიგანე აღმოსავლეთის მხრით 28½ საჟ. და დასავლეთის მხრით 27 საჟ., სიღნაღის უეზდის სოფ. ბაკურციხეს.

ვალი—1,200 მან., გადასახადი—47 მან. 80 კაპ. სულ 1,247 მან. 80 კაპ.

**ვახვახოვისა**, კნეინა ეკატერინა გიორგის ასულის, სახნავ-სათიბი მიწა და ტყე—308 დესიატინა და 555 ოთხ-კუთხი საჟენი თელავის უეზდის სოფ. ძონდოლში.

ვალი—2,000 მან. გადასახადი—100 მან. 80 კაპ, სულ 2,100 მან. 80 კაპ.

**ვაჩნაძე**, თ. გიორგი ნიკოლოზის ძის, ვენახი მიწით 1 დესიატინა 1,200 ოთხ-კუთხი საჟენი, სიღნაღის უეზდის სოფ. ბაკურციხეს.

ვალი—500 მან., გადასახადი—37 მან. 20 კაპ., სულ—537 მან. 20 კაპ.

**ვახვახოვის**, თ. ზაქარია ივანეს ძის, ვენახი ადგილით—7 დესიატინა და 920 ოთხ-კუთხი საჟენი, თელავის უეზდის სოფ. ქურდღელაურს.

ვალი—2,000 მან., გადასახადი—100 მან. 80 კაპ., სულ—2,100 მან. 80 კაპ.

ვაჭრობა (ტორგი), ბანკის წესდების მე-19 მუხლის ძალით, დაიწყება ზემომოყვანილი ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება გადასახადისა და საერო ხარჯის გადაუხდელი ვალი. ბანკის თავნვალში შეიძლება შ[illegible] ბანკის გირაოს ფურცლებით ([illegible]ლისტები) მანეთი მანეთისათვის, შეიძლება აგრეთვე, ბანკის დათანხმებით, ეს ვალი მამულის მყიდველზე გადავიდეს; ვალის გათასახადი და აგრეთვე სხვა ხარჯი კი ნაღდ ფულათ უნდა იქმნეს ბანკში შეტანილი.

თუ პირველი ვაჭრობის დროს (ტორგის დროს ე. ი. ამ 1878 წლის 9 ქრისტეშობისთვის, არ გაიყიდა ზემოხსენებული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების მე-22 მუხლის ძალით, დანიშნული იქნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 23 ქრისტეშობისთვეს ამავე 1878 წლისათვის. (3—2)

---

**„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ეძებს თვისის შკოლისათვის სახლს** 10—12 ოთახს დიდის ეზოთი ან ბაღით.

ვისაც ჰსურს ამ გვარის სახლის გაქირავება. უნდა მიჰმართოს „საზოგადოების“ სეკრეტარს, ნ. დ. ძანანოვს, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4. (3—1)

---

**ტფილისის ვაჭარი ივანე ნიკოლოზოვი** უცხადებს ტფილისის და სხვა ქალაქების პატივსან საზოგადოებას, რომ გვიყიდნია ევროპიის ქალაქებიდან 200 ცალი საკერავი მაშინები, ასე იგი: დიდრონი წაღების საკერავი მაშინები, ბალკონიანი პარტნოის ბელაშევინის, რუჩნოისა—ორი ძაფიანი, ერთი ძაფიანი; სისტემა ტევტონისა, მანჩესტერისა, ვილლერ, ვილსონის, ზინგერის, მედიუმის, პოლლაკ შმიტისა, ლურჯი არიოლი, ხიმსონის.

**ხელის მაშინები**, სისტემა: ბრუნონია, გერმანია, რენანია, ფორტუნა, ზინგერი, საქსონია და ლიტერვანცერი, შატულა, სამსინია, ეკსპრეს-ორიგინალი პრინცესსა და ვილლერ ვილსონის კაკლის ყუთიანი.

ისყიდება ძალიან იაფათ და პირობით იძლევა, ვიდრე სამის წლის ვადითა.

**ვასწავლით** კერვას და მაშინების მოხმარებას მაღაზიაში **უფულოთა**.

მაღაზია იპოვება შუაბაზარში, გასპაროვის დუქნებში.

**ივანე ნიკოლოზოვი**. (3—1)

---

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში, მხოლოდ ზ ა ქ ა რ ი ა  გ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს კავკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

**„სახალხო მეჯლისი“**

**სხვა და სხვა ახალი სიმღერები**

**თ ქ მ უ ლ ი**

**გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.**

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქავ ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ ი. გოგებაშვილისა. ფასი 10 კაპ. (5—1)

*Дозволено цензурою. Тифлисъ 4 Ноября 1878 г. Типографія Мел икова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.